აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი № 5

13 აგვისტო 2012 წელი ქ. ბათუმი

სხდომას თავმჯდომარეობდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არჩილ მიქელაძე.

სხდომას ესწრებოდნენ: ქეთევან ჯიქია, გია გარსევანიშვილი, ასლან ჩავლეიშვილი, მალხაზ კალანდაძე, თამარ ხოზრევანიძე, რამაზ ბოლქვაძე, ავთანდილ ჩახვაძე, დიმიტრი დარჩია, მამუკა ჯაში, ლილე ტეტემაძე, ნანა დავითაძე და ლევან გაბრიჩიძე.

აგრეთვე ესწრებოდნენ: საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლები და მასმედიის წარმომადგენლები.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტის.

აზრი გამოთქვეს: არჩილ მიქელაძემ, მამუკა ჯაშმა, დიმიტრი დარჩიამ და საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებმა.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიას შესთავაზა დღის წესრიგის პროექტში ცვლილების შეტანა და წამოაყენა წინანადება დღის წესრიგის მე-4 საკითხის - განკარგულება საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ არჩევნებთან დაკავშირებული ხარჯების ანგარიშის ფორმის დამტკიცების შესახებ დღის წესრიგიდან ამოღება ვინაიდან ხსენებული საკითხი საჭიროებს დამუშავებას.

საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებმა კომისიას სთხოვეს დღის წესრიგის და განსახილველი საკითხების პროექტების საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებზე მიწოდების უზრუნველყოფა.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ რაც შეეხება სხდომაზე განსახილველი საკითხების პროექტების საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებზე გადაცემის საკითხს იგი მოწესრიგებულია კანონმდებლობის შესაბამისად.

	სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტის ცვლილების გათვალისწინებით დამტკიცების შესახებ.
კენჭისყრის შედეგი:	მომხრე 11; წინააღმდეგი 1;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 12 წევრი)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. დადგენილება - საუბნო საარჩევნო კომისიებისათვის ზოგიერთი საარჩევნო პროცედურის განსაზღვრის შესახებ;

2. დადგენილება - უმაღლეს საარჩევნო კომისიაში განცხადება/საჩივრის შეტანისა და განხილვის წესების აღმწერ ინსტრუქციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ;

3. დადგენილება - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტში ცვლილებების შეტანის შესახებ;

4. განკარგულება - ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ;

5. სხვადასხვა.

1.დადგენილება

საუბნო საარჩევნო კომისიებისათვის ზოგიერთი საარჩევნო პროცედურის განსაზღვრის შესახებ.

მოისმინეს:	სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო ზოგიერთი საარჩევნო პროცედურის განსაზღვრის შესახებ დადგენილების პროექტი და განმარტა, რომ ზემოაღნიშნული დადგენილება არეგურილებს საუბნო საარჩევნო კომისიებისათვის გარკვეული პროცედურების განსაზღვრას.
აზრი გამოთქვეს:	კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.
	სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება საუბნო საარჩევნო კომისიებისათვის ზოგიერთი საარჩევნო

პროცედურის განსაზღვრის შესახებ დადგენილების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 13;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი).

მიღებულია დადგენილება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1. საქართველოს პარლამენტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ერთდროლად გამართვის გამო, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 3 აგვისტოს №3 დადგენილებით დამტკიცებული ინსტრუქციითა და საარჩევნო კანონმდებლობით გაუთვალისწინებელი, საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ საუბნო საარჩევნო კომისიებისათვის განისაზღვროს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებისათვის შესასრულებელი ზოგიერთი საარჩევნო პროცედურა:

1. საუბნო საარჩევნო კომისიის სხდომაზე დასწრების უფლება აქვთ უსკოს წევრებს, უსკოს წარმომადგენელებს და უსკოს აპარატის თანამშრომლებს.

2. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ამომრჩეველთა რეგისტრატორს საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის განკუთვნილ პროპორციულ და მაჟორიტარულ საარჩევნო ბიულეტენების ბლოკნოტებთან ერთად გადასცემს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის განკუთვნილ პროპორციულ და

მაჟორიტარულ საარჩევნო ბიულეტენების თითო ბლოკნოტს.

3. საუბნო საარჩევნო კომისიები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის განკუთვნილი საარჩევნო ბიულეტენების დახარისხებას, დათვლას, დალუქვასა და შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიისათვის გადაცემას ახდენს საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის განკუთვნილ საარჩევნო ბიულეტენებისაგან განცალკევებით საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. საუბნო საარჩევნო კომისია, უმაღლესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით შედგენილ კენჭისყრის შემაჯამებელ ოქმებს და ასევე შესწორების ოქმებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შედგენისთანავე დაუყოვნებლივ გადაუგზავნის უსკოს.

მუხლი 2. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. დადგენილება

უმაღლეს საარჩევნო კომისიაში განცხადება/საჩივრის შეტანისა და განხილვის წესების აღმწერ ინსტრუქციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო უმაღლეს საარჩევნო კომისიაში განცხადება/საჩივრის შეტანისა და განხილვის წესების აღმწერ ინსტრუქციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი. ისაუბრა ინსტრუქციაში განსახორციელებელ ცვლილებებზე უსკოში განცხადების/საჩივრის გასაჩივრების, საჩივრის განხილვის, წესებზე და ვადებზე.

აზრი გამოთქვეს: მამუკა ჯაშმა, დიმიტრი დარჩიამ, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლებმა და არჩილ მიქელაძემ.

მამუკა ჯაში და დიმიტრი დარჩია დაინტერესდნენ თუ რატომ მცირდებოდა უსკოს მიერ უკვე დამტკიცებულ ინსტრუქციაში საჩივრის/განცხადების მიღებისა და გასაჩივრების ვადები. ასევე აღნიშნეს, რომ საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი განცხადება/საჩივრის მიღებისა და გასაჩივრების დრო არასაკმარისია და კომისიას შესთავაზეს განცხადება/საჩივრის შეტანისა და განხილვის ვადის არა შემცირება არამედ ამ ვადების გაზრდა.

საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელმა კახაბერ სოფრომაძემ კომისიას შესთავაზა და მოუწოდა უსკომ გამოიყენოს თავისი უფლებამოსილება და გაზარდოს განცხადება/საჩივრის მიღების, გასაჩივრების და განხილვის ვადები.

სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ის რაც დარეგურილებულია საარჩევნო კანონმდებლობით მისი შეცვლის ან რაიმეს დამატების უფლება არ აქვს უსკოს. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონის თანახმად საარჩევნო კომისია საარჩევნო დოკუმენტაციის მიღებას, გაცემას და რეგისტრაციას ახორციელებს სამუშაო დღის 18 საათამდე (მუხლი 11 პუნქტი 10), ხოლო გასაჩივრების და დავის განხილვის ვადების გაგრძელება ამავე კანონის თანახმად აკრძალულია (მუხლი 73 პუნქტი 10) თუ საარჩევნო კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ასევე განმარტა, რომ უსკო უფლებამოსილია მიიღოს დადგენილება მხოლოდ ისეთ საკითხებზე რაც საარჩევნო კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული და არ ეწინააღმდეგება კანონს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება უმაღლეს საარჩევნო კომისიაში განცხადება/საჩივრის შეტანისა და განხილვის წესების აღმწერ ინსტრუქციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 11;
წინააღმდეგი 2;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი)

მიღებულია დადგენილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1. უმაღლეს საარჩევნო კომისიის 2012 წლის 7 აგვისტოს №4 დადგენილებით (სსმ ვებგვერდი, 08/08/2012, 010220020.34.059.016005) დამტკიცებულ უმაღლეს საარჩევნო კომისიაში განცხადება/საჩივრის შეტანისა და განხილვის წესების აღმწერი ინსტრუქციის დანართში შეტანილი იქნეს შემდეგი სახის ცვლილებები და დამატებები:

1. პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„მუხლი 1. განცხადება/საჩივრის რეგისტრაცია.

უმაღლეს საარჩევნო კომისიაში განცხადება/საჩივარი შეტანილად ითვლება საარჩევნო კომისიაში მისი რეგისტრაციის მომენტიდან.

უმაღლეს საარჩევნო კომისიაში საქმიანი ქაღალდების, ყოველგვარი საარჩევნო დოკუმენტაციისა და სხვა სახის მასალების მიღება, რეგისტრაცია და გასაცემი დოკუმენტების რეგისტრაცია ხორციელდება საერთო სამსახურში სამუშაო დღის 18 საათამდე (შესვენება 13 საათიდან 14 საათამდე) გარდა საარჩევნო კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

უმაღლეს საარჩევნო კომისიაში განცხადება/საჩივარის მიღებაზე და სარეგისტრაციო ჟურნალში რეგისტრაციაზე პასუხისმგებელია – საერთო სამსახური.

განცხადება/საჩივარი საარჩევნო კომისიაში მიღებისას დაუყოვნებლივ ტარდება სარეგისტრაციო ჟურნალში, სადაც უწყვეტი თანმიმდევრობით აღირიცხება მათი შემოსვლის რიგის მიხედვით. თითოეულ დოკუმენტს მიენიჭება შესაბამისი ნომერი, ჟურნალში შეიტანება მისი შემოსვლის თარიღი, დრო და ფურცლების რაოდენობა. სარეგისტრაციო ჟურნალში აღინიშნება განმცხადებლის/მომჩივანის ვინაობა და საკონტაქტო ტელეფონი.

ჟურნალში სათანადოდ რეგისტრაციის შემდეგ განმცხადებელს/ მომჩივანს გადაეცემა წერილობითი ცნობა, რომელშიც მიეთითება განცხადების/საჩივრის მიღების თარიღი და ზუსტი დრო, ასევე სარეგისტრაციო ჟურნალში მისთვის მინიჭებული ნომერი.“

2. მე-7 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„მუხლი 7. საჩივრის განხილვის პირობები და წესი

უმაღლეს საარჩევნო კომისიაში საჩივრის განხილვის დროისა და ადგილის შესახებ უნდა ეცნობოს საჩივრის შემომტან პირს/სადამკვირვებლო ორგანიზაციას/საარჩევნო სუბიექტს, საარჩევნო კანონმდებლობის შესაბამისად.

თუ საჩივრის ავტორი საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებული სადამკვირვებლო ორგანიზაცია ან მისი წარმომადგენელია, საჩივრის განხილვის დროისა და ადგილის თაობაზე ეცნობება ამ ორგანიზაციის საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებულ შესაბამის დამკვირვებელს ან ამ ორგანიზაციას.

თუ საჩივრის ავტორი საარჩევნო სუბიექტი ან მისი დანიშნული წარმომადგენელია, საჩივრის განხილვის დროისა და ადგილის შესახებ ეცნობება ამ სუბიექტის მიერ დანიშნულ წარმომადგენელს უსკოში.

თუ საჩივრის ავტორი საარჩევნო კომისიის წევრია, საჩივრის განხილვის შესახებ პირადად მას უნდა ეცნობოს.

მხარეები ვალდებულნი არიან საჩივარში, გარკვევით მიუთითონ საჩივრის ავტორის საკონტაქტო ტელეფონის (საცხოვრებელი ადგილის ან/და მობილურის) ნომერი, ასევე მითითებული უნდა იქნეს საჩივრის ავტორის ფაქსი და ელექტრონული ფოსტის მისამართი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

საჩივრის განხილვისათვის, ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონით დადგენილი საჩივრის განხილვის ვადების დაცვის მიზნით, მხარეები შეიძლება დაბარებულ იქნენ როგორც წერილობით, ასევე ტელეფონით (მათ შორის მობილური ტელეფონით; მოკლე ტექსტური შეტყობინებით), ელექტრონული ფოსტით, ფაქსით და სხვა ტექნიკური საშუალებებით. ტექნიკური საშუალებებით მხარის დაბარება დასტურდება:

მის მიერ მითითებულ საკონტაქტო ტელეფონის ნომერზე დაკავშირებით;

ელექტრონული ფოსტის, ფაქსის ან მოკლე ტექსტური შეტყობინების შემთხვევაში – შესაბამისი ტექნიკური საშუალებით მოწოდებული დადასტურებით.

აღნიშნული წესით დადასტურების მიღებისას მხარე დაბარებულად ითვლება. მხარე ასევე დაბარებულად ჩაითვლება, თუ შეუძლებელია მასთან საჩივარში მითითებული ტექნიკური საშუალებებით დაკავშირება (მობილური ტელეფონის, ფაქსის, კომპიუტერის გამორთულ მდგომარეობაში ყოფნის გამო და სხვ.).

ტექნიკური საშუალებებით მხარის დაბარებისას დგება აქტი, რომელიც უნდა დაერთოს კომისიის სხდომაზე წარმოდგენილ საჩივარს.

საარჩევნო ადმინისტრაცია ვალდებულია მხარეს საქმის განხილვის დრო და ადგილი შეატყობინოს საქმის განხილვის დაწყებამდე არა უგვიანეს 3 საათისა. მხარის გამოუცხადებლობა არ ქმნის საჩივრის განხილვის გადადების საფუძველს.

მხარეს, რომელიც ესწრება კომისიის სხდომას, სხდომის დაწყების წინ უნდა გადაეცეს მისი საჩივრის განხილვასთან დაკავშირებული კომისიის სხდომაზე წარმოდგენილი დოკუმენტების პროექტები და ასლები.

მხარეს უფლება აქვს, საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი წესით მიიღოს მონაწილეობა საჩივრის განხილვაში.

საჩივრის განხილვის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და საკუთარი ინიციატივით უმაღლესი საარჩევნო კომისიის მიერ მოპოვებული მასალების სათანადო გამოკვლევისა და შესწავლის შემდეგ.

მხარეს, რომელიც მონაწილეობს საჩივრის განხილვაში, მისი მოთხოვნის შემთხვევაში საჩივართან დაკავშირებული გადაწყვეტილება (გარდა კომისიის სხდომის ოქმისა) უნდა ჩაბარდეს ამ გადაწყვეტილების მიღების მომდევნო დღის 12 საათამდე, კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი დოკუმენტაციის შედგენის ვადების გათვალისწინებით.

მხარეს, რომელიც შეტყობინების მიუხედავად არ გამოცხადდა საჩივრის განხილვაზე, კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ეგზავნება წერილობით.

საჩივრის განხილვის დროს მხარის კომისიის სხდომაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მიღებული გადაწყვეტილების შესახებ წერილობითი დოკუმენტის მისთვის ჩაბარების თარიღი არ არის ამ გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის ვადის ათვლის საფუძველი.

უმაღლესი საარჩევნო კომისია ვალდებულია მიღებულ გადაწყვეტილებაში მხარეს მიუთითოს გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა და ადგილი (დაწესებულების დასახელება და მისამართი), სადაც შეიძლება მისი გასაჩივრება.“

მუხლი 2. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის. ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. **დადგენილება**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტში ცვლილებების შეტანის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტში ცვლილებების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: მამუკა ჯაშმა და დიმიტრი დარჩიამ.

კომისიის წევრებმა მამუკა ჯაშმა და დიმიტრი დარჩიამ, აღნიშნეს, რომ არ ეთანხმებია გასაჩივრების ვადების შემცირებას.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტში ცვლილებების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 11;
წინააღმდეგი 2;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი).

მიღებულია დადგენილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 19 მაისის №4

დადგენილებით (გაზეთი „აჭარა" 23. 05. 2006 წ., №91) დამტკიცებული რეგლამენტის მე-18 მუხლის 1[1] პუნქტი ამოღებული იქნეს.

მუხლი 2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება
ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახ

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება უმაღლესი საარჩევნო კომისიის ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 13;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი).

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე -15 მუხლის პირველი პუნქტის „ნ" ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. დამტკიცდეს შემდეგი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმები თანდართული ნიმუშების მიხედვით:

ა) არჩევნებში მონაწილე პარტიის/ბლოკის პარტიული სიის ფორმა (№4-07.21.03);

ბ) პარტიის/ბლოკის წარმომადგენლის მოწმობის ფორმა საარჩევნო ოლქში (№6-07.06.03);

გ) პარტიის/ბლოკის წარმომადგენლის მოწმობის ფორმა საარჩევნო უბანში (№6-07.20.03);

დ) უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლის მოწმობის ფორმა (№6-07.43.02).

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის. ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

5. სხვადასხვა.

სხდომაზე ასევე იმსჯელეს ქ. ბათუმის შემოერთებულ ტერიტორაზე შექმნილ საარჩევნო უბნების და მათი საზღვრების შესახებ.

კომისიის წევრმა დიმიტრი დარჩიამ აღნიშნა, რომ ახალი ტერიტორიების მისამართები არის დაუზუსტებელი და კომისიას შესთავაზა კანონმდებლობის შესაბამისად ჩაერთონ ხსენებული საკითხის მოგვარებაში შესაბამის უფლებამოსილ პირებთან ერთად.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ აღნიშნა, რომ საარჩევნო უბნებს და მათ საზღვრებს ქმნის და აზუსტებს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისია. ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით კი უფლებამოსილი ორგანო არის შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია.

ხდომაზე სხვა განსახილველი საკითხები არ წამოჭრილა.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე	ა. მიქელაძე
კომისიის მდივანი	ქ. ჯიქია